ჩემპიონი უნდა უმადლოდეს მეკარეს

ბაქო. ცენტრალური სტადიონი. 28 აგვისტო. 31 გრადუსი. უქარო ამინდი. 35 000 მაყურებელი.

“ნეგტიანიკი” (ბაქო) - “დინამო” (თბილისი) 0:0

“ნეფტიანიკი” - შეხოვი, ჯალილოვი, ბრუხტი, ბაბაევი, ტროფიმოვი, სემიგლაზოვი, ტუაევი, გრიაზევი, ბანიშევსკი, მარქაროვი. მელქუმოვი.

“დინამო” - ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, ილიადი, მეტრეველი, ბარქაია, ხუციშვილი, დათუნაშვილი (მესხი - 62).

გაძევება – გ. სიჭინავა (“დინამო”)

მსაჯი ნ. ხლოპოტინი; ა. კადეტოვი და ა. ეფრემოვი (ყველა მოსკოვი).

დუბლიორები - 1:1. გოლები – აბდულაევი (“ნეფტიანიკი”), ხართიშვილი (“დინამო”).

რა თქმა უნდა, თბილისის “დინამო”, 1964 წლის საკავშირო ჩემპიონი და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, თავისი საერთო სიძლიერით, მდიდარი ტრადიციებით მნიშვნელოვნად აღემატება ბაქოს “ნეფტიანიკს”, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ერთმანეთთან საკმაოდ ხანგრძლივ შეხვედრათა ისტორიაში აზერბაიჯანელ ფეხბურთელებს ვერც ერთხელ ვერ უნდა შეძლებოდათ მოწინააღმდეგის დამარცხება.

მაგრამ ფაქტი ასეთია: ბაქოელებს 13-ჯერ აქვთ ნათამაშევი თბილისელებთან და არც ერთი გამარჯვება! გუშინ კი ისინი ისე ახლოს იყვნენ ნანატრ მოგებასთან, როგორც არასდროს. საქმე მარტო იმაში კი არაა, რომ მსაჯს უხამსი საქციელისთვის დასჭირდა გ. სიჭინავას მინდვრიდან გაძევება და ჩემპიონი კარგა ხანს 10-კაციანი გუნდი იყო. “ნეფტიანიკს” მანამდეც მრავლად ჰქონდა ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა, რომლებიც ვერ იქნა და ვერ გადაიზარდა თუნდაც ერთადერთ გოლში.

ჩვენ არ გვინდა თბილისელთა ფრე, მძიმე ბრძოლაში მოპოვებული ფრე მეკარე ურუშაძეს მივაწეროთ, ვინაიდან ძალზე შრომატევადი სამუშაო გარდახდათ დაცვასა და ნახევარდაცვასაც, მაგრამ თბილისელთა მეკარე მართლაც შეუდარებელი იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 33-ე წუთიდან მოყოლებული პირველი ტაიმის დასასრულამდე მას მოუხდა 7-8 ისეთი ბურთის აღება, რომელთაგან თუნდაც ერთის გაშვება არ შელახავდა მეკარის პრესტიჟს.

ბაქოელთა საერთო უპირატესობა განსაკუთრებით ხელსახები იყო შესვენების შემდეგ, მათს იერიშებში იყო ყველაფერი - სისწრაფე, კომბინაცია, სახიფათო გასვლები. არ იყო მხოლოდ გოლი. აი ამიტომ დარჩა ბაქოს “ნეფტიანიკის” თბილისის “დინამოსთან” ჩატარებულ შეხვედრებში კიდევ ერთი “0” იმ სვეტში, სადაც წერია - მოგება.

მ. პეიზელი. ბაქო.
“ლელო”, კვირა, 29 აგვისტო, 1965 წ.
დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 29. 08. 65